


ბიულეტენი
 რედაქციის

წელი 10 წელი

ბიულეტენი
 რედაქციის



№ 7 კვირეული ჟურნალი
 1911 წ. 23 იანვ. № 7

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- 1) მოწინავე
- 2) ფიქრები და შენიშვნები
- 3) დონნა კლარა (ჭეინე)
- 4) ნილოსის ძღვენი
- 5) ნუ მტირი სატრფოვ (დექსი)
- 6) პატარა შენიშვნა
- 7) ბრეტონული სახალხო პოეზია თარგ.
- 8) მადონნას სიმღერა
- 9) ობლად დავდივარ
- 10) უვნებელი პეტარდები
- 11) მამა ოქროპირე „ცაცხვის ძირში“

- W.
- შ. ამირჯიბი.
 დ. კილოსანიძე.
 ლირა.
 არ. ავალიშვილი.
 ალ. სარაჯიშვილი.
 ტ ტაბიძე.
 დ. კახრაძე.
 ვ. ა. — ციხელი.
 ლეო ქიაჩელი.
 ილ. ელფფერიძე
 Sazan d' Ary,

დამატება: შემთხვევა დრამატიული ესკიზი
 შურის ძიება (დრამატიული ესკიზი)

(გნ. ელისაბედ ჯამბაკურიან-არბუჯიანის)

სსრკიბს

სსლოვნბს

№ 7 კვირეული ჟურნალი

1911 წ. 23 იანვ. № 7

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მოძწერლებს შეატეობინოს თუ ვისმე რომელიმე ნომერი არ მისვდა.

აკენტურა ძვირი ჯდება, გთხოვთ ჟურნალი წლიურათ (5 მან. შეიძლება ათ-ათ მსურობით შემოტანა) გაძიწეროთ. თუ ჟურნალი რაიმე მიზეზის გამო დაიკეტა, სვედრი ფული ხელის მოძწერთ უსათუოდ უკანვე დაუბრუნდებათ.

ბფილისი 23 იანვარი.

რად აუჯან- როცა მკითხველი ტყობუ- ეს არაბებ სულ პურიშკევიჩები ყოფილან
ყდა არაბეთა ლობს გაზეთებიდან არაბე- და სხვა არაფერიო, იტყვის სიბრაზით
ოსმალეთსა? ბის აჯანყებას ოსმალების მკითხველი.

წინააღმდეგ, განცვიფრებიდან გამოდის მაგრამ ზედმიწევნით გაცნობა აჯანყე-
და ასე ფიქრობს: რა ღმერთი გაუწყრათ ბის მიზეზებისა სავსებითი ამართლებს არა-
ამ არაბებსა? ვიდრე სტამბოლში ბრძანე- ბებსა და ამტყუნებს ოსმალებსა, მეტადრე
ბლობდა დესპოტი, აბსოლიუტური სულ- ყმაწვილ ოსმალების პარტიას, რომელსაც
თანი, არაბები მშვიდობიანად იყვნენ, ესლა ხელში უჭირავს აღვირი ოსმალეთის
და ახლა კი, როცა ოსმალეთში კონსტი- მართვა-გამგეობისა.

ტუცია დამყარდა და თავისუფლების დრო- და აი ამისი შეურყეველი საბუთი.
შამ დაიწყო ფრიალი, იმათ ასტეხეს ერთი ერთს საუკეთესო გერმანულ გაზეთში
აურ-ზაური, შფოთი, აჯანყდნენ, ომი დაბეჭდილია წერილი სახელოვანის ორი-
გამოუცხადეს ოსმალეთისა და სრული გან- ენტალისტის, ვენის უნივერსიტეტის პრო-
გომა და განთავისუფლება მოიწადინესო. ფესორის, ალოიზი მუზილისა, რომელმაც

ბოლოს ხანში დაიარა მთელი მცირე აზია და ენით, თავისი ფართო და ძველი ლი და დაახლოებით გაიცნო მასში მცხოვრე-ტერატურითა, თავისი ისტორიული ბის ერების აწინდელი მდგომარეობა. აი სულითა, ოსმალეთზე უფრო განვითარე-ეს მსწავლული რას ამბობს არაბეთის ბულნი, არაბები ბრაზით აღივსნენ, როცა აჯანყების შესახებ:

„არაბეთის თემები დიდი თანაგრძო-ვისი სკოლები და ამ სკოლებში შემოიღო ბით მიეგებნენ კონსტიტუციის გამოცხ-სწავლება არა არაბულს, არამედ ოსმა-დებს ოსმალეთში. მართალია, აბსოლიუ-ლურს ენაზე. ამას მოჰყვა წადილი—ყვე-ტიზმის დროს ქვეშევრდომობა არაბეთისა ლა თანამდებობაზე, პატარასა, თუ დიდ-ცენტრალის მთავრობის წინაშე ნომინა-ზე, გაემწესებინათ უსათუოდ ოსმალები, ლური, ფორმალური იყო, და არა ფაქ-რომელნიც უმეტეს ნაწილად მოკლებულნი ტიური, რეალური; მაგრამ საკონსტიტუ-არიან არაბულის ენის ცოდნასა. ბოლოს, ცრო რეჟიმისაგან იგინი მოელოდნენ გან-ხარჯების და სალდათების სასტიკა მოკრე-მტკიცებას და დაკანონებას თავისი ავტო-ფამ აავსო ფიალა მოთმინებისა არაბეთში, ნომიისას. ზოგს მეტის იმედიც ჰქონდა: და დილით პატარამდინ, შეიხებიდან დაწყე-კონსტიტუციური სულთანი ჩვენი ხელმ-ბული უკანასკნელ გლეხამდინ, საომრად წიფეც იქმნება და ყველა სხვა მხრივ კი აღიქურვენ. „ჩვენ ძველის რეჟიმის დროს პოლიტიკურადაც დამოუკიდებელი ვიქნე-ნახევრობით მაინც დამოუკიდებელნი ვი-ბითო. ამ იმედს ასაზრდოებდა ზოგი შესაბა-ყავით, ახალს რეჟიმს სწადიან სრულიად მი აღთქმა, რომლის შესახებ პირველ ხანებში გააუქმოს ჩვენი დამოუკიდებლობა, და ამას არა ძუნწობდნენ გამარჯვებული ახალგაზრ-კი ცოცხალი თავით ვერ მოვითმენთო“; და ოსმალები. მაგრამ ჩაიგდეს თუ არა აღსდგა ჯერ ერთი მხარე, მერმე მეორე, ხელში მთელი უფლება, ახალგაზრდა ოს-მესამე, და ბოლოს თითქმის მთელს არა-მალემა ფერი იცვალეს, ზურგი შეაქციეს ბეთს მოედო ცეცხლი აჯანყებისა“.

წინანდელს აღთქმასა და არაბეთი სავსე-ასე გადმოგვცემს მუზილის აზრსა საუ-ბით მოატყუეს. მათ მეტად გააძლიერეს კეთესო რუსული გაზეთი „Русскія Вѣ-ცენტრალური მთავრობის ჩარევა არაბე დОМОСТИ —

თის საქმეებში. ამაყნი თავისი კულტურით

ფიქრები და შენიშვნები.

თეატრის და სცენის შესახებ

W.

III


ნებით და სახასიათო წვრილმანებით. და

მსახიობი როგორც ინდივიდი, როგორც ამ გვარი გაპიროვნებისათვის მსახიობთ მა-პიროვნება კისრულობს გაპიროვნებას, გა-სალად ხმარობს უწინარეს ყოვლისა თავის მოსურათხატებას სხვა ინდივიდისას სხვა პიროვნებას.

პირისას. ეს დიახაც ძნელი საქმე. მსახიობის საკუთარი პიროვნება—სუბი-

მსახიობმა უნდა წარმოადგინოს სრულ-ექტი ხდება წარმოსადგენი პიროვნების ებით გამორკვეული ადამიანი, მისის სუ-ობიექტად.

ლიერის და გონიერის სიღრმე-სიგრძით, რა თქმა უნდა, მაგისტანა გარდაქმნის-გარეგნულის თვისებებით, ტიპიურის ნიშ-თვის საჭიროა დიდი უნარი და ნიჭი, მაგ-



რამ მარტო ნიჭი ვერ შესძლებს იმ „ფე-
რისცვალობას“; იმ გარდაქმნას, რომელიც
მაყურებელს ხშირად ავიწყებს ხოლმე, რომ
იგი თეატრში ზის — „ხელოვნურ სინამდვი-
ლეს“ უყურებს და არა თვით ცხოვრებას
და რეალობას.

ვიმეორებ მარტო ნიჭი, მსახიობის ალ-
ლო და ინსტინქტი, ანუ ეგრედ წოდებული
მსახიობის ზეგარდმო შთაგონება იძლევა
მხოლოდ ამა თუ იმ ძლიერს ფერადებს,
გრძნობათა სიღრმეს, მაგრამ არა სრულს
და ყოველ-მხრივ დამთავრებულს ხატებს
ჰკუა-გონება, განვითარებული გემოვნე-
ბა და დაკვირვება მსახიობისა, ნიჭისა და
უნარის მიერ შექმნილ სურათებს, შესაფე-
რისად ასწორებს და რანდავს.

სრული და უნაკლო სცენიური ხატება
წარმოსდგება მხოლოდ ჰკუა-გონების ქარ-
ცეცხლში გამოვლილ და გამოწრთობილ
გრძნობათა და ტემპერამენტისაგან.

ამიტომ მე ვურჩევ ჩვენს ქართველ მსა-
ხიობთ წესად და ადათად დაიდონ ხოლმე
განთქმულ და სახელოვან არტისტთა ჩვე-
ულება: მრავალ-გზით გადაიკითხონ ხოლ-
მე პიესა, გადაიკითხონ კრიტიკულად და
გონების თვალთ.

პიესის მრავალ-ჯერ გადაკითხვას მსახი-
ობისთვის ერთი საოცარი თვისება აქვს:
თან და თან, ყოველ ახალს გადაკითხვას-

თან მსახიობს ნათლად წარმოუდგება თვალ-
წინ წარმოსადგენი პიროვნების სურათი
ლევ: მისი სახე-გრიმი, გარეგნობა-ტანსაც-
მელი და მიხვრა-მოხვრა, ხასიათი და ტემ-
პერამენტი — ჰკუა, გრძნობა და ლაპარაკის
კილო.

ამ საშუალებით — ამ განმეორებულ და-
კვირვებით, ამ გაათკეცებულ გადაკითხვით
მსახიობი უფრო სწორედ და ადვილად მი-
აღწევს როლის შეგნებას, მის სრულად
და უნაკლოდ გაპიროვნებას.

როცა მსახიობი ამ ცოტა არ იყოს მა-
ბეზარის და მოსაწყენის გზით მიაღწევს
როლის მართებულად შეგნებას, მაშინ და
მხოლოდ მაშინ უნდა შეუდგეს იგი როლის
შესწავლას, დახსომებას, დაზეპირებას.

სამწუხაროდ ბევრს ჩვენს მსახიობს ჰგო-
ნია, რომ თუ როლი გავიზებირე იგი უკ-
ვე ვიციო. ეგ დიდი შეცდომა და უმეც-
რებაა!

სიტყვებს, ფრაზებს და სალაპარაკოს
თუთიყუშებიც კი სწავლობენ...

ყოველ სიტყვას თავისი აზრი აქვს, ყო-
ველ ფრაზას თავისი მნიშვნელობა აქვს და
ეს მნიშვნელობა ხშირად ისეთი დიდი და
ღრმაა, რომ მის სულის საძირკველში ჩა-
წვდენა, მის სიღრმეში ჩახედვა მხოლოდ
გონება მახვილთა და რჩეულთა ხვედრია.

დონა კლარა.

(ქ ე ი ნ ე.)

თარგ. შ. ამირჯიაბა.

ალკადისა ტურფა ქალი
სეირობდა ბაღს ბინდისას
წინწილთა და ებანთა ხმა
მოისმოდა სასახლიდან.
„მომეწყინა მუღამ ცეკვა,
თავაზი და ტკბილი სიტყვა,
მომეწყინენ რაინდებიც
მე რომ მაღარებენ მზესა.

„და უმეტეს მომეწყინენ
რაც რაინდმა ერთმა ვინმემ
მთვარის შუქზედ, საამო ხმით
მე სარკმელთან მიმიტყუა.
„ტან წერწეტი, ახოვანი,
ცეცხლისმფრქვეველ თვალემათა
გაცრეცილის, მკრთალის სახით
ჰგავდა წმიდა გიორგისა.“

ასე სჯიდა ღონა კლარა,
 თვალებს მიწას უშტერებდა
 და რა თვალი მან აღაპყრო
 ის რაინდიც მის წინ იდგა,
 საღმობით ღ ტრფობის ლექსით
 გარს უფლიან ორნი ბაღსა.
 ნელი სიო უაღერსებთ
 ვარდნი მიუძღვნიან საღამს.
 ვარდნი მიუძღვნიან საღამს
 და იწვიან ტრფობის ცეცხლში.
 — მაგრამ მითხარ, საყვარელო,
 აგრე უცხად რათ გაწითლდი?
 კოლო მკბენს მე საყვარელო,
 კოლონი კი ცხელ ზაფხულში
 ისე მძაგან, როგორც მძაგან
 ურიები გძელ საცმელში.
 ურიებს და კოლოებსაც
 ხელი უშვი.--ეტყვის ტრფობით.
 ნუშის ხიდან ძირსა სცვივა
 ათასობით თეთრი ფერფლი.
 ათასობით თეთრი ფერფლი
 მათსა ყნოსვას ასურნელებს.
 — მაგრამ მითხარ, საყვარელო,
 ნუ თუ აგრე შენ გიყვარვარ?
 ჰო! მიყვარხარ, საყვარელო,
 ვფიცავ ამას მაცხოვართან,
 რომელიც კი ღვარძლით მოკლეს
 ღვთისგან წყეულ ურიებმა,
 ურიებს და მაცხოვარსაც
 ხელი უშვი.--ეტყვის ტრფობით.
 შორით სთვლემენ სიზრმეულად
 ლილიები სხივ მორტყმულნი.
 ლილიები სხივ მორტყმულნი
 უცქერიან ვარსკვლავებსა.

— მაგრამ მითხარ, საყვარელო,
 ხომ არ სტრუობ მაგ ფიცში?

მე სიცრუე საყვარელო,
 არა მცხია, ვით არ მცხია
 ერთი წვეთი მავრთა სისხლის
 და ჭუჭყიან ურიათა.

მავრებსაც და ურიებსაც
 ხელი უშვი. — ეტყვის ტრფობით.
 და დაფნისა ფოთოლთ ჩრდილში
 მიჰყავს ალკადის ასული.

სიყვარულის ნაზ ჯადოთი
 მან მოხიბლა იგი სრულად.
 სიტყვა მოკლე, კოცნა გძელი,
 გული ტრფობით აღევსებათ.

ქორწინების მაყრულს მღერის
 იქ ბულბული ეშხით ხელი,
 ჩირაღდნიან ცეკვას მართვენ
 ცქვიტნი ციციანათელანი.

მაგრამ წინწილთ ღ ებანთ ხმა
 კვალად ასტყდა სასახლეში
 ღონა კლარი გამოფხიზლდა
 რომ ჩაპკროდი მკერდში რაინდს.

„ჩუ! მიხმობენ, საყვარელო,
 მაგრამ ვიდრე ვაგშორდები
 მე სახელი შენი მითხარ
 ლამაზი და ტკბილ სასმენი.“

და რაინდი ტუჩხედ ღიმიით
 კოცნის ღონას ლამაზ თითებს,
 კოცნის ტუჩებს, კოცნის შუბლსა
 დ ბოლოსაც ეტყვის სიტყვებს:


მე, სენიორა, თქვენი სატრფო,
 ძე ვარ ფრიალ ქებულისა
 დიდათ სწავლულ რაბინისა
 სარაგოსელ ისრაელისა.—

„ნიღო სის ძღვენი“.

დ. კილოსანიძე.

(დასასრული.)


უფრო საყურადღებოა სფინქსის სახით დათ, რომ მახლობელს უდაბნოში ეს არ-
 წარმოდგენა იმ საიდუმლო არსებისა, რო- სება ცხოვრობს; მაგრამ რაკი ვერვის ენა-
 მელიც მხოლოთ ეგვიპტელთა შემომქმედი ხა, მხატვარს მისი შექმნა ფანტაზიის და-
 ნიჭის ნაყოფს შეადგენს. ეგვიპტელებს სწამ- ხმარებით მოუხდა. ტაძრისა და სასაფლა-



ოს ძლიერი დარაჯის იდეის განმახორ- აღნიშნოს, რომელიც ქანდაკებაზედ უფ-
ცილებელი სფინქსი თავისი გარეგანი სა- რო ძალიან გაიყინა ერთს ადგილს სათუთ-
ხითაც ამ აზრის გამომხატველი უნდა ყო- ფორმებში და არც ერთი ცოტათ თუ ზევ-
ფილიყო. ამ აზრით ეგვიპტელს მხატვარს რად შესანიშნავი ნაწარმოები არ დასტო-
შეუერთებია ლომის სხეული და კაცის თა- ვა. იეროგლიფებთან ერთად მხატვრობა
ვი, რაც იმ დროის ფარაონის სახეს წარ- ძალიან ვრცელდება: ჰხატავდნენ ტაძრებს,
მოადგენს. სფინქსი ყოველთვის მწოლარე აკლდამებს, მასტაბების კედლებს, ქერს, კა-
არის გამოქანდაკებული წინ გაშვერილი რებებს. მაგრამ ამ გავრცელების მიუხედა-
ფებებით. კაცის თავი ფარაონის ძლიერე- ვათ მხატვრობამ განვითარების გზაზედ ნა-
შის ყოველი ატრიბუტით არის მოცული. ბიჯი წინ არ გადასდგა: მან რაკურსზედ
ეგვიპტური თავის მოსართავის ქვეშიდგან (საგანთა დაპატარავება სიერცეში) და კომ-
გამოსჩანს გველი და ზეიდგან კი ადგას პოზიციაზედ ბავშვურ წარმოდგენასაც კი
ეგვიპტური გვირგვინი (პშენტი). ყველა- ვერ გაუსწრო; რაიცა შეეხება სინათლე-
ზედ უდიდესი სფინქსი სდგას პირამიდებ- ჩრდილის გადმოცემას, მას იგი სულაც არ
თან. მისი სიდიდის წარმოსადგენათ საკმა- იცნობდა. ყველაზედ უკეთ ეგვიპტელებს
რისია ადამიანმა იცოდეს, რომ მარტო ცხოველების ხატვა ეხერხებოდათ, რომე-
ცხვირი ორი მეტრის სიგრძისაა (ერთი სა- ლთაც ხან მოძრაობასაც გადმოახატინებ-
ჟენი). ეს უზარმაზარი ძლიერი არსება სა- დნენ ხოლომე. უფრო ძნელი იყო მათთვის
იღუმლო გამომეტყველებით, თითქოს და- ადამიანის დახატვა და მართლაც ძალიან
ლლილიყოს განუწყვეტელ სტიქიონთან მოუხერხებლათ ასრულებდნენ ისინი ამ
ზრძოლისაგან, მიდის ნელნელა ქვიშაში, საქმეს: ჩვეულებრივათ სხეული საზოგა-
უსიტყვოთ, ხმა ამოუღებლივ, და თავს დოთაა გადმოცემული, თუ სხეულს ტანი-
თითქოს ადამიანის მფარველობას აბარებს. სამოსი ჰფარავს, ხშირად ტანისამოსში სხე-
მართლაც ადამიანი მას მფარველობას უწ- ულის ყოველი მოხაზულობა სჩანს. თავი
ევს: ერთხელ ქვიშისგან გაანთავისუფლა აუცილებლათ პროფილით იხატებოდა, თვა-
იგი ნაპოლეონმა, მეორეთ—პროფესორმა ლი კი პირდაპირ ჰქონდა en face, ფეხე-
მარიეტტმა. უცნაური და მარტივია სფინ- ბი გვერდზედ, და ამასთან მარჯვენა მარ-
ქსი; არა აქვს არც სურათი, არც წარწე- ცხენისაგან არაფრით განირჩევა, ხელე-
რა. მაგრამ მისი მშვიდი, დაუძლეველი ძა- ზედ ოთხი თითი ერთი ზომისაა და მოხ-
ლა მაყურებელს უცბათ იმორჩილებს, მას- რილი საღსრებში კი არა—რკალივით.
ზედ თითქმის მხატვრულს შთაბეჭდილებას მაგრამ ყველა ზემო მოყვანილი ნაკლის
ახდენს. მიუხედავთ ეგვიპტურმა მხატვარმა ტექ-
ნიკურ ასრულებაში შესამჩნევს განვითა-
რებას მიიღწია; საღებავი საკვირველი ერთ-

მხატვრობა

ეგვიპტური ხელოვნების მიმოხილვა არ ნაირობით იხმარებოდა და ჩვენს დრომ-
შეიძლება ისე დაათავოს კაცმა, რომ მხა- დისაც კი ფერი და სიახლე არ დაუკარ-
ტვრობის ის განსაკუთრებული ხასიეთი არ გავთ.



ნუ მტირი სატრფოვ!...

(სიმღერა)

ლიტონური
საბჭოთაო

ნუ მტირი, სატრფოვ, თუნდ სადმე ობლათ
 უცხოთა შორის სული მხდებოდეს,
 თუნდ შავი ბედის უშრეტი მტრობა
 ცეცხლათ, გენიათ მეკიდებოდეს;
 თუნდ ჩამთქას ზეცამ, ზღვა და ხმელეთმა
 ჩემზე მოიღონ რისხვა საზარი,
 არ მსურს მაპკურო, ჩემო ლამაზო,
 სულის მალამოთ ცრემლი და ზარი!

ნუ მტირი სატრფოვ, თუნდ ბრძოლის ველზე
 ბოროტისაგან ვიყო ძლეული,
 თუნდ ვიტანჯოდე ბნელსა ჯურღმულში
 მტარვალის ხელით დატყვევებული,
 ნუ მტირი მაშინ, ნუ ავაშფოთებს
 შენი მგოსანი ჯაჭვით მიკრული,
 თუ შემამჩნიო, რომ უწინდელათ
 მამულისათვის ძვერს ჩემი გული!...

ნუ მტირი, სატრფო, თუ ვინდ მიპოვო
 მტრისა მახვილით მოკვდინებული,
 თუნდაც მიხილო სიმართლისათვის
 სარჩობელაზე დაკიდებული;
 ნუ, ნუ მიტირებ, მწარე ცრემლებით
 ნუ აგევსება ნაზი თვალები,

თუნდ ჯვარზე ცმული შენი მიჯნური
 ნუ გებრალეები, ნუ გებრალეები!...

მაგრამ როს მნახო სადმე უეცრივ
 მონის ქერქშია მე გახვეული,
 ან მოსაუბრე მტარვალ-ჯალათთან
 და სამეგობროთ გადახვეული;
 როს მნახო მათთან ჩინით, ორდენით
 დიდებულათა გაბრწყინვებული,
 ერის, სამშობლოს უარმყოფელი,
 მათი ლალატით გასუქებული;
 როს მტერთან ძმურათ მეც გადვიხადო
 ქვეყნის მონობის დღესასწაული
 და მათთან ერთათ მეც ვგმო და ვთელო
 ერის გრძობანი ესდენ ჩაგრული,
 მაშინ ჩაიცივი გლოვის სუდარა,
 მაშინ ათრთოლდეს ეგ ნაზი გული,
 მაშინ მიცანი მკვდრათ, ნაცარ-მტვერათ,
 მაშინ ჩემდამი გრძენ სიბრალული;
 მაშინ გაშალე ეგ გიშრის თმები,
 მაშინ დამარხვა მე დამიპირე;
 მაშინ აივსე ცრემლით თვალები,
 მაშინ მიტირე, მაშინ მიტირე!...



მადლანა სინანულის დროს
 გაბრეულ მარჯის ხაზტი.



ზატარა შენიშვნა.


წრ. ავღაშვილი.

ყოველმა ერმა იცის თავისი მოღვაწეების დაფასება. იცის ეს ქართველებმაც და მით უფრო უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მოღვაწე მეტის-მეტს გაჭირვებასა და დაბრკოლებას განიცდის თავის ქვეყნისადმი სამსახურის დროს. ეს გაჭირვება, უფრო აშკარა და დიდი, სცენის მუშაკთ შეჭვედრით და ახლაცა ხვდებოთ და მით უფრო დიდი მადლობისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან იგინი. არ შეიძლება კაცმა უსაყვედუროს ჩვენს საზოგადოებას, მთელს თუ არა ნაწილს მაინც, რომ მან ან ჩვენი ნაჭირნახულები მუშაკთა დაფასება არ იცოდეს, რომ მადლიერმა საზოგადოებამ თავისი სიყვარული და მადლობა გამოაუცხადა თავის საყვარელ არტისტებს და ღირსეული იუბილე გაუმართა ვასო აბაშიძეს, განსვენებულს ნატო გაბუნიას, გ. გედევანოვს და წელს კიდე კოტე მესხს. უეჭველია, კიდე შესაფერს დროს მოიგონებს ჩვენს სხვა არა ნაკლებ გამოჩენილს სცენის მოღვაწეთ და ასეც უნდა იყოს. რას ვაძლევთ ჩვენ ამ უანგაროთ მომუშავე ხალხს? რას ვაძლევთ იმის მეტს, რომ ნახევარზედ მეტს თუარა ნახევარ წელიწადს მაინც ღვთის ანაბარა ვტოვებთ და აზრათაც კი არ მოგვდის, როგორაა ჩვენი რომელიმე მსახიობი, რომელიც სცენაზედ ყოფნის დროს ხან გულიანათ გვაცინებს ხან გვატირებს, რომელიც გვიყვარს და ხანდახან ვამაყობთ კიდევ, რომ ის ჩვენია ვიმეორებთ ჩვენმა საზოგადოებამ იცის შრომის დაფასება, მაგრამ ერთს შემთხვევაში კი მან თავისი წმინდა მოვალეობა მთლად დაივიწყა.

რე უდიდესი ნიჭი, შეალია, მთლათ შესწირა და თავისი თავით მთლათ დაამწვენა მარიამ საფაროვ-აბაშიძისამ. მისი ღვაწლი მით უფრო დიდია, რომ მან დღევანდელს პირობებში არ დაიწყო სცენაზედ მუშაობა. სულ სხვა იყო ის დრო არტისტ ქალისათვის, სულ სხვა პირობები დღეს. მან გადალახა ყველა შემაფერხებელი პირობები, სძლია ყველა გაჭირვებას და მთელი თავისი არსებით და სიყვარულით მიეცა სცენიურ ხელოვნებას და იმ დღიდგან კარგა ხანს ამშვენებდა ქართულ მელპომენას, ატკობდა საზოგადოებას.

მერე განა საზოგადოებამ დაუფასა ეს? დაფასებით კი შეიძლება ყველა დარწმუნებული იყოს, რომ მ. საფ.-აბაშიძისა დიდი მადლობის ღირსია მისი ღვაწლისა და ქართულს სცენაზედ სამსახურისათვის, მაგრამ ვინ, ან როდის გადასცა ეს მას, როდის აღინიშნა მისი მუშაობის მნიშვნელობა. ჩვენის აზრით ეს დიდი ცოდვია. ჩვენს თეატრს ჰყავს პატრონი—ეს დრამატიული საზოგადოებაა, და სწორეთ ამ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთს უმთავრეს საქმეთ სცენის მუშაკთა ღვაწლის დაფასება. სწორეთ საზოგადოებას უნდა მოეგონებინა, რომ მარიამ საფაროვ-აბაშიძის ქართული სცენისადმი სამსახური პატარა და უმნიშვნელო არაა და ღირსეულათ უნდა დაეფასებინა იგი. დროა ამ შეცდომას, ამ გულმავიწყობას მიაქციონ ყურადღება ყველა დრამატიულმა საზოგადოებებმა, განსაკუთრებთ კი თბილისისა და ქუთაისისამ, და ახლა მაინც დააფასონ პატივცემული მ. საფაროვ აბაშიძის შრომა საქმეს მოთავე უნდა. ჩვენი საზოგადოება კარგათ იცნობს მის ღვაწლს, ნიჭს და დარწმუნებული ვართ სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას თავისი არტისტის მადლობის გადახდასა და მისდამი პატივისცემის გამოთქმაში.

ჩვენს სცენას სწორეთ იმ დროს, როცა მას თავდადებული მუშა ეჭირვება, როცა იგი ისეთს ხანას განიცდიდა, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ან უნდა მთლათ მოსპობილიყო, ან მაგარი ნიადავი მოეპოვა ჩვენის ცხოვრების წინსვლაში, მთელი თავისი ენერგია, სიყმაწვილე, ნიჭი, და მე-



ბრეტონური სახალხო პოეზია.

(ფრანგულიდან)

თარგმანი. ა. სარაჯიშვილი.

ლურჯება ¹⁾

ძაღლების ღმუილი მესმის. აგერ ფრანგი სალდათები! ტყეში გავიქცეთ! წინ ლია! გავიგდოთ საქონელი!

ნუ თუ მუდამ ვითმინოთ, კორნუალის ხალხო, მუდამ ვითმინოთ რაც ის ავაზაკები მიწის მუშაკებს ჰირს გვაყენებენ?

იმათ გავგვიპატიურეს ჩვენი ლამაზი ახალგაზდა ქალები, მოგვიკლეს დედა, შვილი და მამაკაცი; საცოდავი ავადმყოფებიც დახოცეს, თეორი ხელები გაქეთო ²⁾.

იმათ გადასწვეს ღარიბის ქოხები: დანგრეის სახლები, გადაბუგეს პური და თივა ყანებსა და მინდვრებში.

იმათ გასჩეხეს ხეხილი ბაღებში და შეშად იხმარეს, ასე რომ ამას იქით ცხრა თუ ათ წელიწადს არც ვაშლი გვექნება, არც სიდრი ³⁾.

იმათ მოგვპარეს ხარები, ძროხები, დეკეულები და პატრონებთან ერთად წაასხეს ქალაქებისაკენ, ყასაბხანებში.

იმათ მოგვპარეს ეკლესიებიდან ბარძიშფეშხუმი; ჩემოაქციეს სამრევლოები, დაღეწეს საძვლეები და გააბნიეს წმინდა წილები.

იმათ გაანადგურეს ქვემო ბრეტანის ლამაზი მინდვრები, ერთ დროს ამწვანებული და პოხიერი, ისე რომ ახლა იქ არც კაცის ჭაჭანებაა, არც საქონლისა.

ნეტავი ჩვენს ნებაზე ტირილი შეგვეძლოს მაინც! მაგრამ ქალაქის კაცმა ცრემლის ღვრა თუ ნახა, სისხლს დაღვრის.

ნეტავი სადმე ჯვარი მოგვეპოებოდეს

მაინცა, მის წინ დაგვეჩოქნა და ღვთისათვის გვეთხოვნა ძალა, რომელიც გვაკ-

მაგრამ წმინდა ჯვარი შენი, უფალო, ბერკეტის ჯვარი ⁴⁾.

ყოველ დღე ვხედავთ შენს მღვდლებსა შენსავით თავდახრილებს და შენდობის მოქმელებს.

ზოგნი მათგანნი, ვინც მოასწრეს გაქცევა, ტყეში იმალებიან; იქ სწირავენ ღამე კლდეებს შუა; ზოგნიც—ნავებზე, შუა ზღვაში.

სხვებმა ოკეანე გადაიარეს, უილაჯონი სამშობლოს მოშორდნენ, კაცის მსახურების ნაცვლად ღვთის მსახურება ირჩიეს.

უცხო ქვეყანაში მშვიდობით ქერის პურის ჭამა ამჯობინეს შინ თეთრი პურის ჭამასა, ეშმაკის პურის ჭამასა, სვინიდისის მხილებით.

ნაფიცრებმა ⁵⁾ კი იუდასავით ოქროსთვის ღმერთი გაჰყიდეს და განცხრომით სცხოვრებენ თავიანთ სახლში, საწყალი ხალხის ოფლითა.

ვინც არ მივა ნაფიცართან ამ წუთისთვის ფელს უეჭველად გამოასაღმებენ, აზნაური იყოს, გინდ გლეხი.

აზნაური, მღვდელი თუ გლეხი, ყველა ბრეტონი ქედ-მოუღრეკელი, დევნილია იმისთვის რომ ქრისტე სწამს.

გიხაროდეს, ეშმაკის კერძო, ზეცას ჩვენი ანგელოზები ატირე!

ღვთის სჯულის ნაცვლად ეშმაკის სჯული დასდეს, მოჰკალ მღვდლები, აზნაურები და მეფე;


¹⁾ ასე ეძახდნენ ბრეტონები ფრანგს სალდათებს ლურჯი მუნდირის მიზეზით.

²⁾ თეთრ ხელებზე იცნობდნენ აზნაურებს და ჰკლავდნენ.

³⁾ ვაშლის წვენიდან დაყენებული სასმელი.

⁴⁾ გილიოტინა.

⁵⁾ ასე ეძახდნენ იმ მღვდლებს, რომელთაც შეჰფიცეს კონსტიტუციას.



მოჰკალ დედოფალი და მისი თავი მოკვეთილი მიწაზე გააგორე და თან მიაკოლე ქერა თავი მის დისა ელისაბეთის.

ჩააგდე მურდალს საპყრობილეში მეფის შვილი, საცოდავი ბავშვი, და იქ ჩაალაპოტე ჩაპკალ ტალახსა და უსუფთაობაში.

აიფარე პირი, წმინდაო მზეო, და თვალი მოარიდე ეგოდენს სიბოროტესა, ჯოჯოხეთის სულთა ღირსსა.

მშვიდობით, იესო დი მარიამ! თქვენს ქანდაკი ლურჯებმა დაამსხვრიეს და ნამტვრევებით მოკირწყლეს ქალაქის ქუჩები.

მშვიდობით, ემბაზო, რომელმაც მოგვეცა ძალა დასათმობად სიკვდილისა და არა ბოროტთა უღელისა!

მშვიდობით, წმინდაო ზარებო, რომელნიც თავს დაგვმღეროდით! ველარ გავიგებთ თქვენს ძახილს კვირაობით და ბედნიერ ღღეებში.

მშვიდობით, ჩვენის ეკლესიის ზარებო! ვაი ჩვენ, წაუხვამეს ჩვენს ბუღბუღს ნათლისღება! ვაი ჩვენ, ქალაქის ხალხმა დაადნო ზარები და მოიჭრა გროშები!

მშვიდობით, ვაჟკაცნო! მიჰყევხართ ჯარში, საცა წაიწყმედთ სულსა და სიცოცხლეს!

ნახვამდის, შვილო, ნახვამდის ღღელსა მოსათატისასა. შენ რომ წახვალ ბრეტანიდან, ვინ დაითარავს მამაშენსა!

როცა ქალაქის ხალხი სახლში შემომიხედება, მაშინ ვიტყვი: „ჩემი შვილი აქ რომ ყოფილიყო, ის დამითარავდა!“

— მოდი, შვილო, შენი მოხუცი დედა მოგეხვიოს ამ მკლავებით, რომელნიც ყმაწვილობისას გარწევდენ; მოდა ამ მკერდზე, რომელმაც გამოგზარდა, ჩემო საცოდაო, საყვარელო შვილო, სანამ მოგიკვდებოდე.

შენ რომ შინ მოხვალ, ამ წუთისოფლიდან წასული ვიქნები; მოდი, აქ მოდი, უკანასკნელად გულში ჩაგიკრა.

— დედავ, ნუ სტირი, მამავ, ნუ სტი-

რი: აღარ მოგშორდები. აქ დავრჩები დასაცველად, ქვემო ბრეტანის საოლონდაც, გულსაკლავია კაცი რომ იჩაგრება, მაგრამ ეს სამარცხენო როდია.

სირცხვილია როცა კაცი ქურდებს ლაჩრად ემორჩილება.

თუ ბრძოლაა საჭირო, ვიბრძოლებ; ვიბრძოლებ ჩემის ქვეყნისთვის; თუ სიკვდილია საჭირო, მოვკვდები მხიარული და თავისუფალი.

მე ტყვიისა არ მეშინიან: ტყვია სულს ვერ მომიკლავს; ტანით მიწას თუ დავეცი სული ავა ზეცასა.

გავწიოთ, ბრეტანის შვილებო! გული მეგზვნება, მკლავებში ძალა მემატება. გაუმარჯოს სარწმუნოებას!

გაუმარჯოს ვისაც უყვარს სამშობლო! გაუმარჯოს ნორჩს ბატონიშვილს! ჯანდაბას ლურჯები, წავიდნენ შეიტყონ თუ არის ღმერთი!

სული სულისა წილ! ან მოვკლათ, ძმანო, ან თავი შევაკლათ. ღმერთი უნდა მომკვდარიყო, რომ დაეპყრა ქვეყანა.

მოდი, წაგვიძებ, ტენ ტენიაკ, ნამდვილო ბრეტანო, რომელსაც შენს ღღეში პირი არ შეგიტყვევია ზარბაზნის პირისთვის.

მოდით, აზნაურებო, წაგვიძებით! და ქვეყნის საქრისტიანო აღიდებს ღმერთსა.

ბოლოს, ქეშმარიტი რჯული ისევ შემოვა ბრეტანში. კვლავ მოვა ღმერთი თავის საკურთხეველებზე და მეფე—თავის ტახტზე.

მაშინ კორნუალის მინდვრები ხელახლა ამწვანდებიან; მაშინ გაიხარებს კაცის გული, ტყე და ყანები.

მაშინ ამაღლდება ქვეყანაზედ იესო მაცხოვარის სხივ-მოსილი ჯვარი და მის ფეხთით აყვავდება შვენიერი შროშანი,*) ბრეტონების სისხლით განპოხებული.

*) თეთრი შროშანი საფრანგეთის მეფეების გერბია.





ქართული
წიგნიერების
კავშირები

მადონნას სიმღერა.

ტ. ტაბიძე.

ჩემსკენ მცხოვრებო ...ენდე ვარსკვლავებს

აქ არ იციან რაა ნალველი,
 სულს ასხივოსნებს, სულს აცისკროვნებს
 უკვდავებისა სახე წითელი.
 ფრთას შლის სილაღე... შორს სივავლახე
 საფლავს დამარბეთ ნალველის სახე,
 ზეცად ელტვოდეთ, ზეცად სიყვარულს,
 ის მოგცემთ კაცთა შვებას სიხარულს.

მწუხრის ზეფირი, მათაა მწვერვალებს
 ვნებითა აგზნებს, უკოცნის კალთებს.
 სძინავს ეთერსა... ვ რსკვლავნი ჰკრთიან
 ზეცად მცხოვრებო, შენ გეძახიან.
 მარადისობა მტკიცედ სდარაჯობს
 აქ მეფედ არის მშვენნიერება
 ზეცად ილტვოდეთ.. ზეცად მოგიხმობს
 სულის სილაღე. უკვდავი გზნება.


მედიკალი

ობლად დავდივარ...


დ. კასრაძე.

ობლად დავდივარ... და ბრონხათალი თეთრი ხელით მხლებლად
 ცას და მიწასა, ნაზად აყლორტილს გა- წამიყვანა .. მას დავედევნე, მას - მისი ტყვე
 ფურჩქენილს ვარდს, დამცვრალ ზამბახსა, მაგრამ ის განქრა, მივდეგ, მივსტირი...
 ტყეს ძარღვიანსა, ფირუზ ქოლგათ ცად თვით ნატურფალს მისას ვერ ვბოვებ...
 აბჯენილსა, ანუ ნაპრალით მომქუხარე ობლად დავდივარ...
 შმაგ ჩანჩქრის ზვირთებს ვკითხავ: ვინ მზის სხივები ლაყვარდის კამარიდან
 იცნობს თქვენში-მეთქი ჩემს მზეს, ჩემს ძირს ნარნარებით იბნევიან, მარგალიტე-
 სატრფოს? ვინ ნახა იგი, ან რა არის მისი ბად აციმციმებულ ცვარში მოსჩანან შა-
 სახელი? სად დადის, ცადა თუ შვილია რავანდედად ადგებიან წყაროს კლდო-
 ცოდვილი მიწის? ვის შეუძლია, მაჩვენოს ვან კარს, ნაზის კდემამოსილებით შეს-
 მისი კვალი? ცქრიალებენ ირგვლივ ყვავილთ, ფუტ-
 ობლად დავდივარ... კრებს დატვირთულთ ყვითელ თაფლით

სევდის საზღვრები მოკუთლია კვლავბნე- გზას ულოცავ-ნ, ჩემთვის კი... ჩემთვის
 ლი სივრცით თითქოს შიგ ვცურავ უმ- ყრუ არიან, არარას მასმენენ!..
 წეოდ მიტოვებული... ის კი ის ვნახე ობლად დავდივარ...
 სულ ერთხელა, თითქოს სიზმარში.. მან მღუმარე ჩრდილს ქვეშ შევსდეგ წამით;
 გამიღიმა, სულს კეკლუცი სალამი უძღვნა უცნობი პირი ათას ხმებით მესაუბრება,



მომიტხოვს დიად ბუნებისა ბუმბერაზო-
 ვაბა სიმებად გულის ძაფები, ალბობა
 ბას, შევლის ნუკრთა ცქრიალს ქალწულ
 ხმანი საუცხოვო, რომ მას ვასმინო
 მთა-ველთ სიკეკლეუცესა, აღმიხსნის მრ-
 ვიყვანო თვით ქვესკნელი საბუღარიდან?
 ვალ საიდუმლოს, მაგრამ მის სახელს, ობლად დავდივარ...
 ვინც რომ დამკოდა უღმობელი დიანას შევეყურებ ცას, ლაჟვარდ მის იერს,
 ისრით, არ გამაგონებს, არ მინერგავს მწყურის სიციცხლედ, მწყურის განვმორ-
 თუნდ მცირე ნუგეშს, მისი ამბისა არა დე ამ ობლობასა, მწყურს ის ვიპოვნო,
 უწყის, არარას მაცნობებს, მარტოა იგი, მივეხუტო მის გულის ტაძარს, მაგრამ...
 თუ სხვასთანა დაიარება? ან ვის აკვანში არა სჩანს ნავთ-საყული სავანე სულის...
 დაერწია, რომლის ხელით? საით წავიდე, ვერ ვპოვებ ვერ დაკარგულსა ჩემს მზეს,
 რომელ მხარეს მის საძებნელად? რომელ ჩემს ღმერთს და ასე მწირი, სასო მიხდით...
 ბზისაგან გამოვჭრა ქნარი, რომ ზედ გა- ობლად დავდივარ...



უკნებელი პეტარდები.

გ. ა. — ციხელა.


* * *
 დიდება შენდა, ღმერთო! რა სწრაფის
 ნაბიჯით მივექანებით წინ... პროგრესის
 გზაზე! აიღეთ, თუ გნებავთ, თანამედ-
 როვე სწავლა-აღზრდის სისტემა: ეხლან-
 დელ სკოლა გამოვლილი შევირდი თამა-
 მად შეგიძლიათ რომელ პოლკშიაც გნე-
 ზავთ ჩარიცხოთ „ვახმისტრად“, ან „კაპ-
 ტენარმუსად“, მე მინდა ერთი კონკრე-
 ტიულ მაგალითით დავასაბუთო ზემოთ
 გამოთქმული აზრი.

ორიოდე კვირა სოფელში გახლდით
 და იქიდგან რომ ქალაქში დავბრუნდი,
 იმოდენა ცვლილება ვნახე ჩემ ახლად
 გიმნაზიაში მიბარებულ ბიჭუკუნაში, რომ
 განცვიფრებაში მოვედი: დადის, ბატონო,
 ერთავად სარ-ჩაყლაპულივით: გადარები-
 ლი; რაც გინდა შევეკითხოთ, იმისგან სხვა
 პასუხს ვერ მიიღებთ, თუ არა „ტაკტოზ-
 ნო“ და „ნიკაქ-ნეტ“, „უკამანდოთ“ არც
 ბიჯს გადადგავს და არც ლუკმას ჩაიდებს
 პირში. უფრო კი ის მომწონს, რომ, რაც
 გინდა უსამართლოდ და სასტიკად მოექ-
 ცეთ, ერთ ყვედრების სიტყვასაც ვერ გა-
 იგებთ იმისგან. სწორეთ მოგახსენოთ, მე ბენ
 ძალიან ვერთობი ხოლმე ჯეროვან აღზრ-
 დის ასეთ ნაყოფს რომ ვხედავ, მაგრამ ჩე-
 ვის, როცა საგრძნობლად „ჩამოთბება“

მი დედაკაცი კი გადარეულია: ეს ჩემი
 გრძნობიერი შვილი კი აღარ არის, რა-
 დაც უსულო ტიკინიაო; შე გამოტვინე-
 ბულო, შვილი სკოლაში მიაბარე, თუ კა-
 ზარმაშიო“...

— ხე, ხე, ხე! თითქოს სულ ერთი არ
 იყოს, — რა განსხვავებაა!?... ჩემს დედა-
 კაცს გაუგებრობით მოსდის...

გაუგებრობის, თუ სხვა რამის ნაყოფია,
 ის კი უკვე ფაქტია, რომ ქართულ გიმ-
 ნაზიაში სწავლა შეწყვეტილიყო; ამის მი-
 ზეზად სხვა და სხვა რამეს ასახელებენ,
 მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო ნამდვილი
 უნდა იყოს შემდეგი აზრი მკითხველს მო-
 ესენება, რომ ზაფხულობით თბილისში კაი
 ფასში გადის ყინული და რადგანაც ყი-
 ნულის დასამზადებლად ისრე ჯეროვანად
 მოწყობილ ფართო შენობას, როგორც
 ქართული გიმნაზიაა, სხვას ვერ შეხვდე-
 ბით, აღნიშნულ გიმნაზიის გამგეთ დაუდ-
 ლად ისარგებლონ შემთხვევით, სწავლა
 შეაჩერონ და ყინულის მზადებას შეუდგ-
 ენენ. ყინულში აღებული ფულით აპირე-
 დამათავრებას და
 სწავლა კიდევ გადაუდვიათ იმ დროისათ-
 ვის, როცა საგრძნობლად „ჩამოთბება“



(ივლისისათვის). ასრე ორმაგიან სარგებ-
ლობას იძენს კაცი ანგარიშიანთ საქმის
წაყვანით. ჯერჯერობით სწავლა ისევ და-
იწყო: ამბობენ სანამ ყინულის ვაჭრები
გამოჩნდებიანო.

დაბა-ქალაქს მოსდებიან ქუთათურები და
ეძებენ თავს, როგორც გინდა იყოს
ოლონდ კი მიუყენონ თავიანთ წამებულ
სხეულს და აღარ იყენენ მიტოვებული
ფეხების ამარა...

კაი ანგარიში სკოდნია ეგრეთვე ბ. ი.
როსტომაშვილს, რომელიც თავის ორ-
განოში ამტკიცებს, რომ „ყველა ქართველმა
თითო მანეთი რომ გამოიღოს, იმ-
დენი მანეთი შეგროვდება, რამდენიც ქარ-
თველიაო და ამ ფულით შეიძლება ჩვენ-
ში ერთობა დაარსდესო“...

ისევ ფეხების ამარა დარჩა ჩვენი თა-
ნამემაჟღერეც „ცნობილი“ ავიატორი ბ.
ქებურია, რომელსაც ველარაფერით ელირ-
სა ჰაერში აფრენა და ლექციების კითხვას
შესდგომია ბათუმში და სხ. იმის გამო,
თუ როგორ შეიძლება კაცი ვერ აფრინ-
დეს, ამით სურს ბ. ქებურიას ემსახუროს
ავიაციას და მის მნიშვნელობას ნათელი
მოჰვიწიოს.

ერთობისა რა მოგახსენოთ და ადგილ-
ობრივი რუსთა პატრიოტული კავშირი
რომ ჰპოველობს შესაფერ ნიადაგს თა-
ვისს გამხრწნელ მოქმედების გასაფართო-
ვლად, ეს იქიდგანაც შეგიძლიათ დაინა-
ხოთ, რომ, როგორც დაგვარწმუნეს, აღ-
ნიშნულ კავშირის ნამდვილი წევრი, ქალ-
თა უმაღლეს კურსებზედ მოსწავლე ქარ-
თველი ქალი მ. თურმე სცდილობს შეკ-
რიბოს თავისს ამხანაგთა შორის საკმარი
რიცხვი კავშირის განყოფილების დასაარ-
სებლად. ამ თავისს ერის... სასიქადულო
მანდილოსნის მოკლე უკაცრავად პასუ-
ხია — ბიოგრაფიას ვეცდებით შემდეგში მი-
ჯაწოდოთ მკითხველს და მანამდე კი კარგს
იხამს წ. კ. ს. გამგეობა რომ სტიპენდი-
ას დაუნიშნავდეს ამ ჩვენ... მასახელბელ,
თითით საჩვენებელ, მომავალ ქართველ
დედას... გვიხაროდეს!...

ნათელსა ჰფენს, მხოლოდ მეტად მცი-
რე მანძილზედ, გრიბოდოვის ქუჩის და-
საწყისში ახლად მოწყობილი იაფ-ფასიანი
„სინათლე“, ეს სასარგებლო, ხელ მისაწ-
დომი საშუქი მოუწადინებიათ სხვა ადგი-
ლებშიც გადაეტანათ. საზღვარ გარეთ და-
მზადებულ „კასრით“, მაგრამ სხვაგან გა-
დატანილ „სინათლეს“ ძალა შემოღვევია
და უმნილშენელოთ დაკარგულა. ამბობენ
დინამო-მაშინა არ ვარგაო...

უხაროდათ ქუთათურებსაც, რომელთაც
თვის შორის, რა ვაი-ვაგლახით, ძლივს
იპოვნეს ერთი თავი და თურმე ისიც
„ფხიანი“ გამომდგარა, ჩხვლეტა სკოდნია
და, რა თქმა უნდა, რომ არ დაამტკიცე-
ბდნენ... თუმცა ჩვენ დროში რიგიან თა-
ვის ქონა დანაშაულათ ითვლება, მაგრამ,
მეორეს მხრით, ნუ თუ 5,000 მცხოვრე-
ბიან ქალაქისთვისაც ერთი რიგიანი თავის
ქონა დანაშაულობაა?!. ეხლა თურმე უმაღლ-
ისრეთივე ამბები ხდება, როგორც გელ-

არ ვარგა აგრეთვე მეტის-მეტი თავ-
დახრილი, სულ განაბული ცხოვრება,
როცა ჩვენ დროში ყველა მუშტზედ იყუ-
რება... ეს კარგათ შეუგნიათ ქართულ გი-
მნაზიის უმფროს კლასების ზოგიერთ მო-
წაფეთ და განსაკუთრებით გიმნაზიიდგან
გამორიცხულთ და გადაუწყვეტიათ და-
არსონ სკოლა ქეიფისა და მუშტი კრივი-
სა, რაშიდაც ჯეროვანი დახმარება აღუთ-
ზოგიერთ თანამშრომლებს.

მაგეთ თანამშრომლობაზედ რა მოგახ-
სენოთ და კაცი-ქამია გაზ. „ნოვოე ვრე-
მის“ იუდა-თანამშრომელი მენშიკოვი არ-
წმუნებს მკითხველებს, რომ ეჩმიადინში
ისრეთივე ამბები ხდება, როგორც გელ-

სინფორზიო და კარგი იქნება სომხებს. გასულ ორშაბათიდან ჩვენში ალბან-კათალიკოსად ვოსტორგოვი დაუნიშნოთო. დინდა ახალი „თემი“ რომლის მენაღვრე-ლი და მის ინტერესებისათვის მომქმე-ღია სამი ძე: მსაჯული, მხედარი და მგა-ღობელი. ისინი ბევრ რასმე გვპირდებიან ნი, მკითხველს თავი მოვაბეზრეთ ამდენი და ჩვენც ვუსურვოთ რომ სათემო ურემი ლაყბობით. არ გადაებრუნებინოთ...


მამა ოქროპირე »ცაცხვის ძირში«.

დეო ქაჩელა..

სოფელი მაკოთის აზნაურებს გასართობ და, ეკლესიის ირგვლივ მოსახლე აზნაუ-ადგილად ცაცხვის ძირი ქონდათ მიჩნეუ-რები დინჯად წამოვიდოდნენ ცაცხვის ძი-ლი. ეკლესიის გვერდით, გაშლილს მინ-რისკენ. სწორედ ამ დროისთვის ცაცხვიც დორზე მდებარეობდა ეს ადგილი და მა-მოიკრეფდა ჩრდილს და მზისგან დაფარავ-კოთის შუა გულს შეადგენდა. ერთად-ერ-და სკამებს, რომლებიც ხის ერთი გვერ-თი ძველი ცაცხვი უხვ-მდიდარ ფოთლე-დით ეწყო სკამების შორი ახლო ქვები ბიან ტოტებით დაჰყურებდა მინდორს და იღვა, დასაჯლომად მოხდენილნი. ეს ქვე-შორს ჰფენდა თავისს გრილს ჩრდილს. ბი მდინარე კაპასას ნაპირიდან იყვნენ სოფლის შარა-გზაც ამ ადგილს უვლიდა, ამოტანილნი. ერთი ხის სკამი ყველაზე და მგზავრიც ზაფხულის სიცხით მოქანკუ-უფრო მოკლე, მაგრამ ყველა დანარჩენზე-ლი გვერდს ვერ აუვლიდა მშვენიერს ცაც-უფრო საიმედო მამა ოქროპირეს ეკუთვ-ხვის ძირს; ვინც არ უნდა ყოფილი-ნოდა, და ქვეყნის ვერც ერთი მამაო ვერ-ყო მგზავრი თავს შეაფარებდა ცოტა-ხნით შეეცილებოდა ამაში. სოფ. მაკოთის მაინც ჩრდილს, ჩამოჯდებოდა მიწიდან გაჩენიდან არავის ახსოვს, რომ ამ სკამს ამოკუზულ ხის ფესვზე, ამოიოხრებდა, თავ-მ. ოქროპირეს სახელი არ ჰრქმდოდეს, ან-ზე მოიხდიდა, ყელზე შეისხნიდა და დამ-მამაო სხვა სკამზე მჯდარიყო.

ხურვალეებულს გულ-მკერდს მიუშვერდა მინდორის ბოლოში ყველაზე ადრე მ. ცაცხვის ძირში მუდამ მქროლავ, გრილს ოქროპირე, ს. მაკოთის წმ. გიორგის ეკ-და საამო ნიავს!! დალოცავდა ცაცხვის-ლესიის 70 წლის მღვდელი, გამოჩნდებო-ძირის მიდამოს, აკურთხებდა იმის მარჯ-და თავის გრძელი, თავმოჭედილ ჯოხით.

ვენას, ვინაც დარგო იმ ადგილას ეს მა-ნაშუადღევის ძილისაგან ახლად გამორკვე-დლიანი ხე, და ისევ თავის გზას გაუდგე-ული მამაო ერთ-ორს ჩამთქნარებდა, გა-ბოდა! მაგრამ არა მხოლოდ ასეთი შემთ-დისვამდა ხელს გრძელს, შუა გაყოფილს ხვევითი სტუმრებით ამაყობდა ძველი ცა-წვერზე, გადაიწერდა პირჯვარს და ჩაი-ცხვი და მედიდურად არხვედა მწვანე ფო-ლაპარაკებდა: „უფალო, შეგვიწყალებ, თოლთ! მისი ჩრდილოვანი ძირი საკრე-უფალო შეგვიწყალებო“. ის მიდიოდა აუ-ბულო ადგილი იყო ადგილობრივი, მა-ჩქარებლად, თითქო ჯოხით და ნაბიჯით კოთის, აზნაურების. ყოველს საღამოს, ზომავდა მანძილს თავის ეზოდან ცაცხვის როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხრებო-ძირამდის. ერთს გაიხედავდა მეზობელ სო-და და „მჩატე ზღვაური“ (მსუბუქი ქარი) ლომონის მოსახლეობისაკენ, უჩინრად ჩა-მოპბერავდა დასავლეთიდან და შუადღის იცინებდა და თავში გაივლებდა: „სოლო-სიცხე-პაპანაქებას მიჰლევდა, შეასუსტებ-მონი არ დაიგვიანებს მოსვლას!! ისეთს



ამბებს გაცნობებ; მეზობელო, რომ სიზ-
მარშიც არ დაგესიზრმება!! და შემდეგ
რამდენიც გინდა იხიოხიოთ!!“ გაადგამდა
მამაო კიდე რამდენიმე ნაბიჯს, შეჩერდე-
ბოდა, მოიხედავდა უკან თავის გზისკენ
და რა მოხდებოდა თვალში ერთ გვერ-
დით ზომამზე მეტად გადაწეული ქიშკარი,
ხმა მალლა იტყოდა: „არა რა არს ქვეყა-
ნასა ზედა უკვდავად არსებული!! ბჭენიც
ჯოჯოხეთისა“... მამაო არ დააბოლოვებ-
და აზრს, მაგრად ამოახველებდა და ისევ
გამოაბიჯებდა ცაცხვისკენ. მოვიდოდა, მი-
ვუახლოვდებოდა თავის სკამს, ჯოხს იქვე
ჩაასომდა მიწაში, ქულს გადაიხდიდა და
ნელა დაეშვებოდა სკამზე; მაშინ ნიავეც
აღერსით შემოებრავდა და მამაოს ბელატს
ტკბილად, საამოთ შეეხებოდა. ოქროპი-
რეც იგრძნობდა ნიავეის ასეთს ყურადღებას
და თავის მალაღს შუბლს ნაზად გადაუს-
ვამდა ხელის გულს. „უფ, იფ, იფ!“ ჩა-
ილაპარაკებდა ნასიამოვნები და აზნაურ
სოლომონის ეზოსკენ გაიხედავდა! თუმცა
მ. ოქროპირეს ბელატი თავი ქონდა, მაგ-
რამ ეს არ უშლიდა, რომ დაწნული თმა,
მოგროვებული თავის არა შიშველ კუთხე-
ებიდან ჰქონოდა მოხდენილად გადმოშვე-
ბული მხარზე. გრძელ წვერთან ერთად ეს
მელოტობა მამაოს დარბაისლობას და
ბრძნულს გამომეტყველებას მატებდა, და
ამიტომაც ეს გარემოება ნაკლად არ ჩა-
მოერთმევა ს. მაკოთის მოძღვარს.

მარტო დარჩენა და ფიქრი მ. ოქრო-
პირეს დიდს ხანს არ მოუხდებოდა. მოკ-
კრავდა თავის ეზოდან სოლომონი თვალს
მამაოს, წამოიხსამდა ჩოხას და წამოვი-
დოდა.

— სალამო მშვიდობისა, მამაო! — მიე-
სალმებოდა მ. ოქროპირეს.

— ღმერთმა მშვიდობა არ მოგაკლოს,
ჩემო სოლომონ!.. რად დაგავვიანდა?..
დაბრძანდი!

— ესეც არის აღვსდევ ძილითგან, მა-
მაო! მოგეხსენება მოახუცებულისათვის შუა
დღის ძილი რა არის!! — უპასუხებდა სო-

ლომონი, მამაოს პირდაპირ სკამზე ჩამო-
ჯდებოდა, ამოიღებდა გრძელ-
სას და პაპიროსს გაიკეთებდა.

— ახალს რას ამბობს გაზეთი, მამაო! —
ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხავდა
პოლიტიკის მოყვარული სოლომონი!

— კარგს არაფერს, ჩემო სოლომონ!
რუსი გაჯავრებულია და რისხვას გვაყრის!
— ჰაჰაჰა!

საქმე იმაშია, რომ მ. ოქროპირეს ქარ-
თული გაზეთი მოსდიოდა და დიდის გულ-
მოდგინებით ადევნებდა თვალყურს ახალს
ამბებს. მამაო ყოველთვის თანამედროვე
პოლიტიკის „კურსში“ იყო, ხოლო ეს
„კურსი“ იმით განირჩეოდა კემშარიტ
კურსიდან, რომ მამაო მას თავის განმარ-
ტებას და ახსნას აძლევდა. არსებული პო-
ლიტიკის კურსი მამა ოქროპირეს გამოთ-
ქმაში თავის ბუნებრივი დასკვნამდის მი-
დიოდა. ამიტომაც იყო, რომ მამაოს წი-
ნასწარ მეტყველობა მრავალ შემთხვევაში
მართლდებოდა, და ამის გამო იმას დამ-
სახურებული ჰქონდა რწმენა და დაჯერება.
მოხდებოდა, რომ ხანდახან მაკოთის აზ-
ნაურები, განსაკუთრებით ახტი და ცხარი
ურჩობას უწევდნენ ოქროპირეს. მაგრამ
მამაოსთვის არაფერს შეადგენდა იმათი
ჩაჩუმება. ახტი და ცხარიც ეკლესიის
გვერდით ჰცხოვრობდნენ და ძალიან ძვი-
რად დააკლდებოდნენ ცაცხვის ძირში კრე-
ბას. მ. ოქროპირეს კი არც ახსოვს, რომ
რომელიმე იმათგანი არ ყოფილიყო კრე-
ბაზე! ახლაც იმიტომ აგვიანებდა ოქრო-
პირე სიტყვას, რომ კრება სრული არ
იყო, და ერთი სოლომონი კი ვერ აამეტ-
ყველებდა იმას. მამაო უტდიდა ახტის და
ცხარს. ესენიც არ დაავიანებდნენ და სულ
მალე გამოჩნდებოდნენ ერთი ყალიონით
პირში და მეორე გრძელი სიგარით, რომ-
ელსაც თვითონ მეტად ხელოვნურათ ამ-
ზადებდა სახლში.

მათი მოახლოვება და მ. ოქროპირეს
ლაპარაკის დაწყება ერთი იყო.

— უკანასკნელი ცნობები ტელეგრაფნი

აგენტსტვოსი მეტათ დამაფიქრებელნი არი-
ან! ხელმწიფე-იმპერატორის ნამესნიკი და
მოადგილე კავკასიაში თურმე ამხადებს
კანონებს, რომლებსაც ამ დღეებში პეტ-
ერბურღს გაგზავნიან უმაღლესად დასამტ-
კიცებლად!

— რა გვინდა? ა?—მეტ ყურადღებით
შეეკითხებოდა სოლომონი.

— ამ კანონის ძალით ჩვენი ორი მახ-
რა უნდა გადასახლონ ციმბირში. გადა-
სახლებულების მაგიერ რუსეთის შიდა
გუბერნიებიდან გადმოასახლებენ რუსებს..

— ჰაუ, როგორ დავიჯერო!—წამოი-
ძახებდა ახტი, უკვე მოსული და მამაოდან
შორი-ახლო გაჩერებული!

— ხოლო ჩვენი საზოგადოება,—განა-
გრძობდა ოქროპირე, ვითომ ახტის სიტ-
ყვები არც გავგონა, — განსაკუთრებულ
პირობებშია და... შეიძლება გადარჩეს!
რაც შეეხება ჩვენს მეზობელ საზოგადოე-
ბებს—კლდე მიწისას, და ქვემზირიისას,—
ესენი უნდა აიბარგონ, და გაუდგენ გზას
შორეულ ციმბირისაკენ!!

— ჰაუ, როგორ დაღუპულან, შენი
ჭირიმიე!—ჩაუმატა ცხარიმ მამაოს სიტ-
ყვებში.

— აბა, შენ როგორ გეგონა?—მოუბ-
რუნდა მ. ოქროპირეცხარის! რუსს ხუმ-
რობა რომ ყვარებოდა ნაპალეონი იქნე-
ბოდა ახლა იმისი ხელმწიფე!! შენ რა იცი,
როცა კაპასას არ გაცილებულხარ, და
ბეგის მეტი კაცი არ გინახავს?— მიმართა
მამამ ცხარის და თანაც გადაჰკრა ახალ
მოსულს ახნაურს ბეგის, რომელიც მო-
სულიყო შეუმჩნეველად და ყურს უგდებ-
და მას.

— კი, მაგრამ ასეთს უსამართლობას
არ იზამს რუსი!

— კაკ რაზ! არ იზამს!! მართალია, არ
ჩაიდენდა ასეთს ამბავს, მაგრამ კავკასიამ
ულაღატა და მოღალატეებისათვის კი
რუსი არას ზოგავს!! „არ გვინდა, არ
გვინდა!“ რომ გაჰყვიროდით, ახლა იმა-
ნაც გითხრათ: „არც მე მინდიხარო!“
აბა ის და აბა შენ!

— მაგრამ ამოდენს ხალხს როგორ გა-

დასახლებს, მამო?— შეეკითხა ახტი, და
იმავე წამს სოლომონს გადახედა,
დამცინისო, რადგანაც სოლომონს, მამა-
ოს მიერ გათამამებულს, დანარჩენები მას-
ხარად ჰყვანდა აგდებული!

— ჰიმე, რამდენია ამოდენი? ხი, ხი
ხი!—ჩაიცინა სოლომონმა.

— როგორ? შენი მეზობელი ცხარი
გგონია, რომელსაც ასი წელია ურმის
ბორბალი გატეხილი აქვს და ის ვერ გაუ-
კეთებია! ჩაგვამს მატარებელში და მეზუ-
თე, ძაან გვიან, მეექვსე დღეს იქ გაგა-
ჩენს!! დიდი, დიდი დაჯდეს ათი ათასი
მანეთი! ათი ათასად კი შენისთანა ლაწე-
რაკები მოიშოროს თავიდან მოგება არ
არის?

— ხახხა! შენ ნუ მომიკვდე, ეს დიდე-
ბულათ ბრძანეთ!!—ხითხითებდა სოლო-
მონი.

— როგორ გადასახლებს!—ცხარდე-
ბოდა ოქროპირე, ღმერთო კი მომკალი,
ვინაა რომ ამბობს!? გიბრძანებს წაეთრი-
ეო, და აბა მიპასუხე, რას იზამ? არ წახ-
ვალ? შენი ამბავი რომ ვიცი შეიარაღდე-
ბი!! კუდით ქვას გასროლიებს, კუდით!..
არ მიკვირს, ვილაცა ახტია, წახტია დაუ-
წყებს კითხვას, „როგორ“? ერთი ტყვიის
ულუფა ხარ, ბიჭო, ერთი ტყვიის!

— კი მაგრამ ჩაუვარდა ახტის ენა,—
იქაც ხომ... ჰმ... ქვეყანა... ხალხი...

— რუსს ბევრი აქვს იქ უკაცო ადგი-
ლები! შენ ახტი, არაფერი იცი, და მე
ნუ მედავები!! ასეთს სჯა-ბაასში საღამო
ახლოვდებოდა და ყანიდან დაბრუნებულ-
ნი გლეხებიც მხარზე თოხ გადადებულნი
მძიმედ ბრუნდებოდნენ შინ. ვისაც გზა
ცაცხვის ძირით ჰქონდა, უსათუოდ შეუ-
ხვევდა მამაოსკენ, აბა რა ამბავს იტყვის
დღეს მოძღვარიო.

მოჰკრავდა ყურს გადასახლების შესახებ
ლაპარაკს თუ არა, თოხს გადმოიღებდა
მხრიდან, დაეყრდოდა და დაუწყებდა
სმენას ოქროპირეს სიტყვებს. ოქროპირე
კი რა მოჰკრავდა თვალს გლეხებს უფრო
აუწყევდა ხმას. და იქნება რამე კეთილი
ჩაუწყევთო უგუნურთა ყურშიო, უფრო
გაცხარებით განაგრძობდა ლაპარაკს!

— ჩემის აზრით კი მთელს კავკასიას

გადაასახლებენ!.. აბა! თქვენ რა გახსოვსთ ის დრო, როცა მერკინ-ბეი შერაშიძე ან რომელიმე ლეკის თავადი წამოვიდოდა და ერთს სოფელს კაციან-ქალიან წარეკდა ჯოგოვით! მოჰგლეჯდა სახლ-კარიან, ამოხოცდა დიდს და პატარას და განუკითხავად წაბრძანდებოდა! ახლა? აბა ახლა გაბედოს!.. რუსს ხუმრობა არ უყვარს!!

ეი! თოხიანო, მოდი აქ! შენ უღუ გვარმაძლია არა ხარ? შენ არ იყავი, მხარზე კაჟის თოფი გადადებული გქონდა და „ძირს“ იძახოდი? გადაგასახლეს ხომ? წაღი ახლა და იძახე „ძირს!“ იცი ახალი ბრძანება?

— კაი არ იქნება, ვგრძნობ. .

— კარგი არ იქნება!! რა იცი, ყაზახო, რა არის კარგი, და რა ავი? ვილაც მაწანწალამ აგიყოლია და მაშინ ხომ ცაქუდათ მიგაჩნდა? ჰო, ახლა ისევ ჩემთან უნდა მოხვიდე! რას იტყვი, შენ სოლომონ!? უტუეს, რომ სავსებით რუსის ძალა დაანახო მაშინ ხომ სხვანაირად მოიქცეოდა?

— რა საბჭემელია, შენი ჭირიმე! — ცბიერად ჩაილაპარაკებდა სოლომონი, და უღვავებში ჩაიცილებდა.

— რათ ჩავარდი, შეილო, — მოეფერებოდა ახლა მამაო უცუეს, — შენს ცოლ-შვილის ცოდვაში? შენ კი, თუ გინდა ღირსი ხარ, მარა დედაკაცმა რა დააშავა? ა? საღ წავიდეს ახლა იგი წვრილი შვილებით?

კიდევ ბევრს ასეთს ილაპარაკებდა მ. ოქროპირე; სანამდი ღამე არ დადგებოდა და კრება ნელ-ნელა დაიშლებოდა. მეორე დღეს კი მთელი მაკოთის საზოგადოება მამა ოქროპირეს ახალ ამბავზე ლაპარაკობდა.

— ჰეი, ცაკვა, რას აკეთებ? — მიამახა მიმავალმა ჩქოფომ მეზობელს, რომელიც ღობეს ასწორებდა!

ჰე, რას ვიზამ? არ დამაყენეს ივანეს ღორებმა!

— მოგიცლია, ძმაო! ახალი ამბავი იცი?

— ჰმ?

— გვასახლებენ ყველას! მთელს კავკასიას!

— ვინ სთქვა?

— ცაცხვის ძირში ამბობდა მ. ოქროპირე!

— მართლა, მართლა?

— ახლა, შე კაცო, რათ უნდა მოგატყვილო? გაზეთში სწერიაო!

— მტყუანს და არა მტყუანს ერთად?

— ყველას!

— ტყვილი იქნება! ვინ გაიგონა...

— ოქროპირე ამბობდა პირდაპირ!

ოქროპირემ არ იცის ტყვილი გგონია? ისეთს ტყვილს იტყვის, როცა დასჭირდება, შენგან მოწონებულს!! გვაშინებს... დრამის ფულს არ მომცემნო!

— რა კაცი ხარ, ცაკვა! რაც მოხდა იმის შემდეგ...

— კაი და აბა როდის იქნებაო?

— ამ ორს თვეშიო!!

— იმდენი რა უთხრა მომგონს!! დასწყევლოს ღმერთმა რას არ იტყვიან და რას არ დასწერენ!

— ასეა და მზათ იყავი!

— ავაშენა ღმერთმა!

— აბა, გამარჯვებით!

— რაღა ამისთანა გამარჯვება!.. მამაოს მაინც უთხარი, რომ დრამის ფული გვადროოს...

ასე გადადიოდა მეზობლისგან მეზობლამდის, სოფლიდგან სოფლამდის, ახალი ამბავი და მთელს საზოგადოებას უმალ მოედებოდა. ვერ მოასწორებდა ამბავი ცაცხვის ძირიდან წამოსული სოფლის ბოლომდის ჩასვლას, რომ მ. ოქროპირე მეორე ამბავს აყოლებდა პირველს მღევრად...


საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების წლის თავის გამო



მ. ო. აქმეთოვა.

რედაქტორი: ვამომცემელი

თავ. ნ. ლორთქიფანიძე



მეორე სურათი.

XII

მიხაკო და **მაშო** (ერთად შემოდან)

მაშო. ყველანი „სტალოვიაში“ გახლავან... იქ მიბძანდით.

მიხაკო. არა, მე ახლა „სასტალოვით“ არა მცალიან... შენ ერთი ნინო გამოიმჩმე როგორმე... ისე-კი, რომ არავინ შეიტყოს...

მაშო. ბატონი ბძანდებით. ეს არის—თავის ოთახში შებძანდა, თავის ტკივილი აუვარდა...

მიხაკო. საიდანმე ნინოს წერილი ხომ არ მოჰსვლია?

მაშო. დიად, ამ საღამოთი მიიღო... (მაშო გადის. სიჩუმეა. მიხაკო დაფიქრებულია დადის).

XIII

ნინო. (შემოდის ნახვადგვის დიმილით). ოჰ, მიხაკო! არა გრცხვენია? ასე გვიან მოლოცვა და ისიც შენისთანა მახლობელ ნათესავისაგან!

მიხაკო. დღეს არ მეცალა... ვერ მოვედი... და სულ ერთი არ არის? ხომ არსად გაიქცეოდა ეს მოლოცვა?! მაგრამ საქმე ამაში როდია... ერთი უსიამოვნო ამბავი უნდა შეგატყობინო...

ნინო. (სახეზედ მწუხარება გადაურბენს და ძაღატანებულის ცნობის მთავარებით) რა იყო, რა მოხდა?

მიხაკო. (თვალურს ადევნებს ნინოს სახის მოძრაობას) ლევანის შესახებ ხომ არა გაგიგია?

ნინო. (უეცრად გაფითრდება და მღვლებს) რუბის დამაღვას ცდილობს) არა... არა გამიგია...

მიხაკო. საშინელი ღებემა მივიღე იმის ძმისაგან. იწერება,—ლევანს უბედურება შეემთხვაო...

ნინო. (სასო-მიხდილი) უბედურებო? მაგრამ, არ იწერება რა უბედურება?

მიხაკო. არ იწერება, მაგრამ გული მითხრობს,—რაღ უნდა იყოს...

ნინო. (გაუბედავად) რა?.. იყოს?..

მიხაკო. ერთი საათია, რაც ღებემა

მივიღე და ატაცებულებით დავდივარ!.. პირველი ჩემი მოძრაობა—რკინის გზისაკენ გაქანება იყო... მაგრამ, საუბედუროდ, მატარებელს ვერ მივუსწარ... ხვალამდის უნდა დავრჩე და მოსვენება ვერ მიპოვია... ათასნაირი წარმოდგენა თუ ფიქრი დაფორიაქებს ჩემ თავში... ერთი მეორეზედ უფრო პირქუში, უფრო მწვაფი... ვაი თუ ლევანს ცოცხალს ვეღარ მივუსწრო!..

ნინო. (თავს ძლივს იმაგრებს. ხმა ჩახლეჩილი) მერე, რა იცი, რომ ის უბედურება ლევანის სიცოცხლეს შეეხება?

მიხაკო. აგრე რომ არ იყოს, მაშინ იმისი ძმა ღებემას როდი მომწერდა... აქ რაღაც საშინელი საიდუმლოებაა და, მგონია, რომ იგი შენც შეგეხება...

ნინო. მე?

მიხაკო. დიად... და ამიტომაც მოველ, რომ შენ ამისხნა მიზეზი იმ უბედურებისა, რომელიც ლევანს დაატყდა...

ნინო. (თავის თავს ებრძვის, რამე მართალი არ გამომჟღავნოს) მე... მე... როგორ აგისხნა? მე საიდან მეცოდინება?

მიხაკო. არა, ნინო, შენ იცი, მაგრამ მიმაღავ... (სიჩუმე) მითხარი,—ლევანს რომ ლყვარდი, ამას ხომ შენ... მიხვედრილი იყავი?

ნინო. (თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს).


მიხაკო. შენი გული რაღა პასუხს ეუბნებოდა?

ნინო. (ძაღატანებით) მე... ის... არ მყვარებია...

მიხაკო. მაშ, რაღად ელამუნებოდი? რად ამხნეველდი?

ნინო. რა უფლებით მეკითხები ყველა მხარეზე?

მიხაკო. ნინო! მე და შენ ახლა სა— რომ საბუთის ქალღმერთი წარმოგიდგინო... ჩვენი მსაჯული—ჩვენი სვინიდისა და იგი სრულს უფლებას მანიჭებს გკით-



ხო, — შენა ხარ მიზეზი ჩემის მეგობრის სიკვდილისა, თუ არა?.. (ნინო გაშუქებული ღივით სდგას. სიჩუმე) ლევანი გამოგიტყდა სიყვარულში? (ნინო თავის დაქნევით „ჰო“-ს ანიშნებს) შენ რაღა პასუხი მიეცი? (ნინო გაშუქებული) შენა გკითხავ, ქალო! რა პასუხი მიეცი — მეთქი?

ნინო. უარი ვუთხარ...

მიხაკო. რაღა?

ნინო. მე იგი არ მიყვარდა...

მიხაკო. სტყუი!.. გიყვარდა, მაგრამ მაინც გამოეთამაშე .. უარი უთხარ, რომ მოგეკლა ის უცნაური, საძაგელი თვისება გრძნობათა კეკემალულობისა, რომელიც ძვალსა და რბილში გამჯდარი გაქვს... შენ მზანდა ხარ ყველაფერი სარკედ ვაიხადო, რომელშიაც შეგეძლებოდეს შენი მშვენიერების ძლევა-მოსილება ამოიკითხო ხოლმე... შენ ეთამაშებოდი სიყვარულს... ამ ცელქობაში ჰპოვებდი კმაყოფილებასა და, ამავე დროს, თითქოს თავლებზედ განგებ რიდეს იფარებდი, რომ არ შეგეძინია და სირცხვილეთული არ ვასწითლებულიყავ ლევანის პატიოსნურ, ანკარა წყაროსავით მჩქეფარე გრძნობის წინაშე!.. შენ გავიწყდებოდა, რომ ცეცხლთან თამაში საშიშია და აი, შენმა თავდავიწყებამ სადამდის მიგიყვანა!.. შენ კაცის მკვლელი ხარ, ნინო!..

ნინო. (ტანჯვისაგან ხელებსა ჰხაჯანჯავს) მიხაკო, ნუ მტანჯავ!.. ოჰ, რომ იცოდე, რა მზასრავ ლახვრად ესობა ყოველი შენი სიტყვა ჩემს გულს!..

მიხაკო. (სიტყვას აწვეუტინებს) გაიხარე, ქალბატონო! შენი მომხიბლობა განუზომელია!.. ბუმბერაზი!.. შენთვის თავს იკვლენ!.. შენს სიყვარულს სიცოცხლის საღირლოდ აფასებენ!..

ნინო. (უზომო მღვდვანებით და გუდრუბით) მიხაკო! წრე-გადასულობას ნუ მიმალწვევინებ, თორემ მწუხარება საშინელს საქმეს ჩამადენინებს!..

მიხაკო. გიცნობ, რა წრე-გადასულობაა შეგიძლიან!.. შენთვის ეგ მწუხარება

იგივეა, როგორც სახის ესა თუ სხვა მტყველება, სხეულის მოხდენილი რაობა, სარკის დახმარებით შესწავლილი!.. ეგ მითომ და მწუხარება მხოლოდ დეკორუმია შენის არსებისათვის და სხვა არაფერი!..


ნინო. ოჰ, შე უღომბელო, გულქვა ადამიანო! გაგიკლმასებია ენა და პტყელ-პტყელ სიტყვებს უხვად იტყორცნები!.. სხვის გულში-კი არ იხედები, რა ჯოჯოხეთი ანთია!..

მიხაკო. სვინიდისის მხილება აწ გვიანდაა.

ნინო. განა მარტო სვინიდისის მხილება მკლავს? შენ არ იცი... ლევან მიყვარდა ისე, რომ შენი მეგობრობის ვაბე-რილი გრძნობა ამ სიყვარულის ძალას მკრთალ აჩრდილადაც არ შეეფერება!.. ლევანი ჩემთვის ყველაფერი იყო... რა-შიაც-კი გამოიხატება გიჟური გატაცება ყმაწვილის გულისა, სულიერი აღმაფრენა, სიამაყე, სიკეკლეუცე!.. და ახლა, როდესაც ყველა ეს, ჩემივე მიზეზით, წამერთო, შენ ვინდა ზიზილ-პიპილა სიტყვებით სვინიდისის მხილება აღმიძრა და ამით ზნეობრივი სასჯელი განმიჩინო?!.. რა მნიშვნელობა აქვს, ერთი მითხარ, იქ სინიდისის მხილებას, საცა ადამიანი დაჰკარგავს სულ-ხორცის ძალას და მჩვე-რად გადაიქცევა?!

მიხაკო. მერე, რად მიალწიე მაგ მდგომარეობამდე? რად ეძლეოდი კოპწიაობის სურვილს?

ნინო. (გააფხნებთ) რად ეძლეოდი კოპწიაობის სურვილს... ისე მეკითხები, თითქოს ჩემთვის-კი თვალნათლივი იყოს ის უცნაური ძალა, რომელიც ჩვენ, ქალებს, ხელსა გვკრავს და იმას გვამოქმედებინებს, რასაც შენ გრძნობათა კეკემალულობას ეძახი... სიყვარულთან თამაში რაღაც საბედისწერო მოთხოვნილებაა ჩვენის არსებისა... ქალი, რაც უნდა ბედის კმაყოფილი იყოს, მაინც იმას ეპოტინება... სიყვარული ერთად-ერთი



სამთავროა, რომელშიაც ქალი და მამა-ნო... ვგრძნობ, რომ უკმეხად მოგეცემოდა...
 კაცი საბრძოლველად თანასწორ ღონესა ბოდიშს ვიხდი... იქნებ, ღმერთმა მოგვინებო...
 გრძნობენ... ამის გამო, ქალი თითქოს ბოს, ლევანი უბედურებას ვადარჩეს და
 ანაზღვეულად, გონების დაუკითხავად, მრჩენს თავზედ მოგროვილი ღრუბელი გაი-
 ვალ-გზით ცდილობს დარწმუნდეს, რომ ფანტოს...

იგი ძლივე-მოსილია მამაკაცზედ, რომელიც **ნინო.** (დანუ-მასუფი.) მიხაკო, ნუ თუ
 გრძნობისა თუ გონების სხვაგვარ გა-შენ იმედი გაქვს? ოჰ, მიხაკო! ოღონდ კი
 მომეტყველებაში ქალს თვისის ძლიე-გაიფანტოს ეს ჯოჯობნითური წყვილია...
 რებით ჩრდილავს... სიყვარული ჩვენი ოღონდ კიდევ დავინახო ცხოვრების
 ფარ-ხმალია, რომელსაც მხოლოდ მაშინ ფერუზოვანი კამირა, ლევანის სიცოცხ-
 დავყრით ხოლმე, როდესაც ან სრულიად ლით აღგზნებული თვალები და ვფიცავ მის
 დავმონავდებით და მამაკაცის სურვილი სახელს, რომ საუკუნო საკურთხევლად
 კისერზედ უღლად დაგვედგმის, ან როცა ვადავქცევ და ზედ ვილოცავ!...

გავიმარჯვებთ და მამაკაცს ჩვენის წაღი-
 ლის ყმად ვაგიხდით... ის კოპწიობა,
 თუ არშიყობა, რასაც შენ სიყვარულ-
 თან თამაშას ეძახი, მხოლოდ შემოწმებაა

ქალისაგან თვისის ძალღონისა, ფარხმალის
 გამპკრიახობისა...
მიხაკო. სსსუ... აქეთკენ მოდიან...
XIV

მიხაკო. ეგ ყველა კარგი, მაგრამ—რა
 საჭირო იყო, ერთი მათხარ, მაგ ქალურ და, თურმე-კი, აქ ჩვენს ვადემოკრატე-
 სანგლების აგება ლევანის წინააღმდეგ... ბულ არისტოკრატს ესაუბრები... მიხაკოს
 ხომ დარწმუნებული იყავ, რომ მას უყვა-
 რდი...

ნინო. რა საჭიროა, მაშასადამე,—მე
 შენა გკითხავ, —რომ ყვავილ-ბალახის და-
 მატკობელი ციური ცვარი სტიქიო-
 ნურ ნიაღვრად გადაიქცევა ხოლმე და
 მთლად წაღეკავს, რაც-კი რამ წინ გადაე-
 ლობება?!... განა—შეგიძლიან საზღვარი ჩვენ, არამც თუ ოცდახუთ კაცში არ
 დაუდო ახალგაზდა ადამიანის გრძნობა-
 აშლილობას?!... (ერთ ხანს სიხუშე ჩამოკარ-
 დება) ნუ გგონია, მიხაკო, ამით მე თავის
 გამართლება მინდოდეს... არა, რა საჭი-
 როა იქ თავის გამართლება, საცა კაცს
 მსაჯულად მარტო-ოდენ საკუთარი სვინი-
 ლისი მიაჩნია?... მაგრამ მისი მოქმედება
 ჩემში შემწყდარია... ისე, როგორადაც
 შემწყდარია ყოველი სხვაგვარი გამომეტ-
 ყველება ჩემის არსებისა, რომელიც გაუ-
 ქმებულ საყდარს დამზგავსებია... და შიგ
 ქარი-ლა დაზუზუნებს... აჰ!... (თავზე სე-
 ჯებს შემოაჭდის და ქვითაინებს.)
მიხაკო. (დამბაიკრად) დამშვიდდი, ნი-


ნინო. რა საჭიროა, მაშასადამე,—მე
 შენა გკითხავ, —რომ ყვავილ-ბალახის და-
 მატკობელი ციური ცვარი სტიქიო-
 ნურ ნიაღვრად გადაიქცევა ხოლმე და
 მთლად წაღეკავს, რაც-კი რამ წინ გადაე-
 ლობება?!... განა—შეგიძლიან საზღვარი ჩვენ, არამც თუ ოცდახუთ კაცში არ
 დაუდო ახალგაზდა ადამიანის გრძნობა-
 აშლილობას?!... (ერთ ხანს სიხუშე ჩამოკარ-
 დება) ნუ გგონია, მიხაკო, ამით მე თავის
 გამართლება მინდოდეს... არა, რა საჭი-
 როა იქ თავის გამართლება, საცა კაცს
 მსაჯულად მარტო-ოდენ საკუთარი სვინი-
 ლისი მიაჩნია?... მაგრამ მისი მოქმედება
